ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 15 ივნისი, 2022 №116 (8894) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

უჩა მამაცაშვილი „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წინააღმდეგ

პროკურორი: „სახალხო დამცველს ბრალდებისგან არ მოუთხოვია ინფორმაცია ნიკა გვარამიას ბრალდების საქმესთან დაკავშირებით“

გვ.5

„ივანიშვილისთვის საინქციების დადება დღეს ვერ წარმოიდგენია“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ ხალხს აბოლებს“

„უკრაინამ და მოლდოვამ შეიძლება უფრო ადრე მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ევროკავშირში, შესაძლოა, მაინც ჩვენ უფრო ადრე შევიდეთ“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „თუ ფულით ხდება სტატუსის ყიდვა, ივანიშვილზე უფრო დიდი ფული ვის აქვს?! ჩავიდნენ და იყიდონ კანდიდატის სტატუსი“

„ქართულ ოცნებაში“ ძალიან აიხლართნენ, ივანიშვილის დაცვა ქვეყნის მართვა ჰგონიათ“

„ამერიკელები „სტავკას“ სალომე ზურაბიშვილზე დებენ?!“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „ევროკავშირზე არც „ქართული ოცნება“ იტკივებს თავს და არც წინა პლანზე მყოფი ოპოზიცია“



გვ.4

ვახტანგ გომელაური უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

ირაკლი ზარქუა: „კელი დეგნანს მინდა შევახსენო, ეს თემა ჰაერიდან არ მოგვიტანია“

გვ.3

სალომე სამადაშვილი: „თუ ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ მოგვცემს, ეს დიდი ხნით გვართმევს შანსს“

გვ.3

4 გიორგი ვაშაძე: „სახეზე გვაქვს შეთქმულება სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ“

5 პროკურორის განცხადებით, ნატალია ილიჩოვამ და ივერი მელაშვილმა დანაშაული ჩაიდინეს

2 პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში 14 ნარკორეალიზატორი დააკავა

6 რომის პაპი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ჩეჩნების და სირიელების გამოყენება ამაზრზენია

1993230720223

„ივანიშვილისთვის სანქციების დადება დღეს ვერ წარმომიდგენია“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ ხალხს აბოლებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, 24 ივნისს გვეცოდინება, მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. თუმცა ევროპარლამენტის რეზოლუციის შემდეგ, ჩვენი ხელისუფლების შეფასებები და განცხადებები, კიდევ უფრო ბასრი გახდა. თითქოს შანტაჟის და ულტიმატუმის ენით ესაუბრებიან დასავლეთს. რა ხდება, როგორია თქვენი შეფასებები?

– ხდება შემდეგი: საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა ევროკავშირში გაწევრიანება. იმიტომ კი არა, რომ დავალება აქვს ასეთი, იმიტომ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება დისკომფორტს უქმნის მათ ძალაუფლებას. „ქართული ოცნების“ დღევანდელი ამოცანა არის ძალაუფლების შენარჩუნება. არა პრორუსული პოლიტიკა, არა პროევროპული, არა ნატო, ან ევროკავშირი, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება. რასაც მოითხოვს ევროკავშირი, ეს არის დემოკრატია. დემოკრატია მათში ქმნის განცდას, რომ შეიძლება დემოკრატია დაკარგონ. სულ ისმის კითხვა, რა პოლიტიკაა ეს, პრორუსული? მე ვიტყოდი, რომ ეს არის პროქართული პოლიტიკა და ისწრაფვიან რუსეთისაკენ. რადგან რუსები არ ითხოვენ ჩვენგან არავითარ დემოკრატიას. ითხოვენ მხოლოდ ერთგულებას და არ წასვლას ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. მათ არ უნდათ დემოკრატია საქართველოში, იმიტომ, რომ დემოკრატია ეჭვქვეშ აყენებს მათ ძალაუფლებას.

– ამ განცხადებებით კიდევ უფრო აზიანებენ პროცესს?

– დიახ. გვეკუთვნის და ჯერი მათზეაო. რა მათ ჯერზეა ლაპარაკი, როცა შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამოვიდა „ქართული ოცნება“ და ახლა ჯერი შარლ მიშელზეა, ის უნდა გამოვიდეს შეთანხმებიდან?! რა გავაკეთეთ ჩვენ ისეთი, რომ ჯერი ახლა ევროკავშირზე გადასულიყო?! ჩვენ მივდივართ ევროპისკენ. ისინი კი არ მოდიან საქართველოსკენ. რა ჯერობაზეა ლაპარაკი?! პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ ისიც ვერ გაგვირკვევია, როგორ მუშაობს რუსეთი ჩვენთან და როგორ მუშაობს ევროკავშირი. რუსეთი მუშაობს იერარქიულად, ხოლო ევროკავშირი და ჩვენ პარტნიორები ვართ. სიტყვაზე, რუსეთი თუ გვაძლევს თევზს, ევროკავშირი გვაძლევს ანკესს, რომ ეს თევზი თავად დავიჭიროთ.

– თუმც ასე არ თვლიან ხელისუფლებაში. ხუნდაძე აცხადებს, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი მონობის ქვეშ ვიქნებით და ვინ იბატონებს ჩვენზეო.

– მათ ვერ გაურკვევიათ ოპკომის ცნება. საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვი გვკარნახობდა ჩვენ, თუ როგორ მოვქცეულიყავით. ევროკავშირი არ გვკარნახობს. უბრალოდ, გვეუბნება: გინდა ევროკავშირში გაწევრიანება? იყავი დემოკრატიული. რუსეთი კი ყველგან ძალით შედის. ღირებულებებით კი არ შედის, ძალით შედის.

– ომში ჩართვას გვაიძულებდნენო.

– არა, ეს სისულელეა! სრული აბსურდია. ეს არის ვიღაცა უკრაინელი, რეგვენი პოლიტიკოსების პროპაგანდა. უკრაინაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, სწორედ მათ უნდოდათ, რომ საქართველო ჩაერთოთ ომში და ამას არც მალავდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ქართველი საზოგადოება არ აყვა ამას. არც პოლიტიკურმა სპექტრმა აითვისა ეს მოწოდებები. არანაირ ომში ჩართვაზე ლაპარაკი არ ყოფილა ევროკავშირის მხრიდან, ეს არის ზღაპარი. ხალხს აბოლებენ ამით!

– როდესაც პრემიერ-მინისტრი გამოდის და ასე შანტაჟის ენით აცხადებს, თუ არ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, მაშინ ვიტყვი, სინამდვილეში რაც ხდება. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? აშანტაჟებენ ევროკავშირს?

– რა თქმა უნდა, ეს შანტაჟის ფორმაა, მაგრამ რასაც ის იტყვის, ეს იქნება ძალიან სასაცილო. იმიტომ, რომ ვერაფერს ვერ იტყვის განსაკუთრებულს. „ქართული ოცნება“ იქცევა ისე, როგორც პუტინი და მისი პარტია რუსეთში. ანუ აბოლებენ ხალხს. გორბის კვლევებისა არ იყოს. აქაც ხალხის დაბოლების მცდელობას ჰქონდა ადგილი. როგორც პუტინია ძალიან კარგი, ისე „ოცნების“ ხელისუფლება. ერთი პათოსია. „ქართული ოცნება“ მუდმივად ცდილობს შექმნას მტრის ხატი. ჩვენ ანგელოზები ვართ და თუ ჩვენ პრობლემები გვაქვს, ეს არის რუსეთის ბრალი, ეს არის ევროკავშირის ბრალი, ეს არის ამერიკის ბრალი, ყველას ბრალია, ოღონდ ჩვენი ბრალი არაა. მუდმივად ეძებენ მტერს, რომ მათ გადააბრალონ. მტერი რუსეთია! ევროკავშირი კი მტერი არაა, მათ უნდათ, რომ ქართულ ცნობიერებაში რუსეთი ჩაანაცვლონ ევროკავშირით.

„უკრაინამ და მოლდოვამ შეიძლება უფრო ადრე მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ევროკავშირში, შესაძლოა, მაინც ჩვენ უფრო ადრე შევიდეთ“

საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს, რომ ევროკავშირი და რუსეთი სხვადასხვა ფენომენია. საუბარი იმაზე, რომ ევროკავშირის სტატუსი ფორმალობაა, ასე არაა. თუ კანდიდატის სტატუსს არ მივიღებთ, ისე წინ ვერ წავალთ.

– კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ, თუმცა საკმაოდ მწვავე და კრიტიკული რეზოლუცია დაამტკიცა ევროპარლამენტმა. იქ საუბარია ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებაზე და ასე შემდეგ. რას იტყვით ამაზე?

– ივანიშვილის დასანქცირება მე დღეს ვერ წარმომიდგენია. დღეს თუ რაიმე სანქციები ხდება, ხდება იქიდან გამომდინარე, ესა თუ ის ადამიანი რამდენად უწყობს ხელს რუსულ აგრესიას. ამ ყველაფრის დასაბუთება უნდა მოხდეს. მოსაზრება არის ერთი და მეორეა რეალიზაცია. „ოცნება“ ისე იქცევა, რომ ევროკავშირში ჩნდება განცდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მართავს სიტუაციას. თუმცა მარტო მოსაზრებებზე ვერავინ ვერანაირ სანქციებს ვერ დააწესებს.

– ოლიგარქი და რუსეთთან დაახლოებული პირიო. თქვენ ფიქრობთ, რომ ამის დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარმოადგინონ?

– რა თქმა უნდა. მეც ვფიქრობ, რომ ის რუსეთთან დაახლოებული პირია. რუს ოლიგარქთან მისმა სატელეფონო საუბარმა ეს დაადასტურა. საუბარში არ არის პრობლემა. აქ პრობლემა სხვა რამეშია, იმაში რომ პრემიერ-მინისტრთან რომ აგზავნის. სწორედ ეს არის დამადასტურებელი იმისა, რომ ის ერევა პოლიტიკაში. თუ პოლიტიკაში აღარ არის, როგორ უგზავნის ხალხს პრემიერ-მინისტრს? მე და თქვენ ხომ ვერ გავაგზავნით ვერავის პრემიერ-მინისტრთან? მიუხედავად იმისა, რომ მეც კარგად ვიცნობ ღარიბაშვილს.

– ყველამ კარგად იცის, რომ ივანიშვილის გარეშე ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს ხელისუფლება. დღეს ამაში ეჭვი არავის ეპარება.

– დღეს ჩვენ ორივე ვსაუბრობთ მოსაზრებაზე. ვერც მე და ვერც თქვენ, ვერ დავამტკიცებთ, რომ ეს ასეა. მტკიცებულებებია საჭირო. ასევე ევროკავშირმაც მტკიცებულებები უნდა მოიტანოს. თუ მართლა დაუწესეს სანქციები, მაშინ მტკიცებულებები აუცილებლად ექნებათ. ჩვენც ვამბობთ, რომ ივანიშვილი მართავს მთავრობას, მაგრამ ეს ჩემი მოსაზრებაა. რომ დამჭირდეს, მე ამას ვერ დავამტკიცებ. ვერავინ ვერ დაუწესებს ივანიშვილს სანქციებს, თუ არ ექნებათ მტკიცებულებები!

– ამ ყველაფრის ფონზე, რა მოლოდინი გაქვთ? ზოგი ფიქრობს, რომ მაინც მივიღებთ სტატუსს, ოღონდ გარკვეული დათქმებით და პირობებით. თქვენ რას ფიქრობთ?

– თუ ვერ მივიღებთ, არც ეს იქნება ტრაგედია. ჩვენი ხელისუფლება წევს ესე ტრაგიკულად და მანკიერად ტემპერატურას. რატომ წევს? იმიტომ, რომ შემდეგ ეს ყველაფერი არჩევნებამდე მიდის და ძალაუფლების შენარჩუნებამდე. თუ ევროკავშირმა არ მოგვცა კანდიდატობის სტატუსი და მოგვცა მხოლოდ პირობა, ეს ძალიან შეარყევს „ქართული ოცნების“ რეპუტაციას. არა „ქართული ოცნების“ პერსპექტივას ევროკავშირში, არამედ მათ რეპუტაციას არჩევნების წინ. ამას ხელზე დაიხვევს ოპოზიცია და სწორედ ამის ეშინია „ოცნებას“! შესაძლოა, დღეს უკრაინამ და მოლდოვამ უფრო ადრე მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ევროკავშირში, შესაძლოა, მაინც ჩვენ უფრო ადრე შევიდეთ, ვიდრე თუნდაც უკრაინა. უკრაინას სერიოზული პრობლემები აქვს და კიდევ დიდხანს ექნება. დღეს მას სტატუსს აძლევენ იმიტომ, რომ ომშია და თვალს ხუჭავენ.

– ჩვენ სად ვართ?

– გამობრძანდა კობახიძე და თქვა, ჩვენ ომში არა ვართო. ამით გავემიჯნეთ ამ პროცესს. არადა, როგორ არა ვართ ომში, რუსეთის ჯარები ხომ საქართველოს ტერიტორიაზეა?! თუ ომში არა ვართ, მაშინ მიპასუხოს დიადმა კობახიძემ, რატომ არა გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან?! შეიძლება ჩვენთან ხალხი არ იხოცება, მაგრამ ჩვენ ომში ვართ რუსეთთან! როცა კობახიძემ და ზოგადად ამ ხელისუფლებამ მოახდინეს დისტანცირება უკრაინის თემისგან, ამით ჩვენ, ჩვენი თავი ჩავხსენით უკრაინის პერსპექტივებიდანაც.

– ანუ შესაძლოა ჩვენ უფრო გვიან მივიღოთ ეს სტატუსი?

– ამას არ გამოვრიცხავ. თუმცა ეს არაა ტრაგედია, მე ამას მშვიდად ვუყურებ. მთავარია, ჩვენ ვნახოთ პირობები, რა პირობებს დაგვიყენებენ. ჩემთვის პირობებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კანდიდატის სტატუსს. თუ პირობები შესრულებადია, მაშინ ცეცხლი უნდა შევუნთოთ ხელისუფლებას, რომ შეასრულოს ეს პირობები. უკვე ამაზეც ალაპარაკდა კობახიძე, უსამართლო პირობებს თუ მივიღებთ, არ შევასრულებთო და რას ნიშნავს კობახიძის მიერ გაგებული უსამართლო პირობები, საინტერესოა. იქნებ მე და თქვენ არ გვეჩვენება უსამართლოდ?! ვინ მისცა კობახიძეს ამის ერთპიროვნულად შეფასების უფლება. ისინი არ აპირებენ ამ პირობების შესრულებას, რადგან ძალაუფლების შენარჩუნება სურთ. მთელ მსოფლიოს გადააგდებენ, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნონ.

– რას იტყვით „ოცნების“ და პრეზიდენტ ზურაბიშვილის დაპირისპირებაზე? კობახიძემ, ვინ არის სალომე ზურაბიშვილი, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, დღეს ის რიგითი დეპუტატი იქნებოდაო.

– რომ არა ბიძინა ივანიშვილი, კობახიძე საერთოდ არ იქნებოდა! საერთოდ არ იარსებებდა, როგორც ფენომენი. იქნებოდა გაძვალტყავებული ენჯეოშნიკი. რას ნიშნავს ეს აბსურდული აზროვნება?! სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის ელჩი იყო საქართველოში! საფრანგეთი არ არის რუსეთი! მაშინ აქედან დაიწყოს თვლა კობახიძემ, როგორ მოხვდა სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის ელჩად საქართველოში? ივანიშვილის დამსახურებით?! თავიდან დაიწყოს ლაპარაკი, რაღა ბოლოდან იწყებს.

– როგორც ცნობილია, 20 ივნისს აქცია დაიგეგმა. ამან ოპოზიციაში დიდი დაპირისპირება და განხეთქილება გამოიწვია. აქციას აქტივისტები გეგმავენ, მაგრამ მათ უკან ოპოზიცია დგას. ზოგს უნდა, რომ მივიდნენ იქ ლიდერები და ზოგსაც არ უნდა. რა მოლოდინები გაქვთ? ესეც ამტკიცებს, რომ არც ოპოზიცია დგას მოწოდების სიმაღლეზე?

– მე მილიონჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ოპოზიციის პრობლემები, ოპოზიციის პრობლემებია, ხოლო მმართველი ძალის პრობლემები, არის სახელმწიფოს პრობლემები. ამიტომ ოპოზიციის პასუხისმგებლობას არასდროს გავათანაბრებ ხელისუფლების პასუხისმგებლობასთან. რა თქმა უნდა, ოპოზიცია არაა მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ თუ დამარცხდა, დამარცხდება მისი კონტექსტიდან გამომდინარე. არაა საჭირო ნაცმოძრაობის მხრიდან ეს ზედმეტი განცხადებები, უერთდებიან ღონისძიებას? თქვან, რომ მივდივართ არა როგორც პარტია, არამედ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები. ნაცმოძრაობა დღეს ძალიან წყალწაღებულია და ხავსს ეჭიდება. ყოველთვის ცდილობენ, რომ ხალხის პროტესტი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. მე არ მაინტერესებს, ვინ აკეთებს ამ აქციას, მივალ ნებისმიერ შემთხვევაში! იმიტომ, რომ ეს თემაა ჩემთვის მნიშვნელოვანი.

– სიმბოლურად დაემთხვა 20 ივნისი და გახარია და მისი პარტია მივა?

– პარტიები კი არ უნდა მივიდნენ, მივიდნენ წევრები. უნდა თქვან შემდეგი: რომ საქართველოსთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება და არაა დრო პარტიების პოზიციების დემონსტრირების. ამიტომ უნდა მოუწოდონ წევრებს, რომ მივიდნენ, არა როგორც პარტიის წევრები, არამედ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები! ეს უნდა გააკეთოს ყველა პარტიამ, ეს იქნება ყველაზე კარგი ვარიანტი.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში 14 ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში 14 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1967 წელს დაბადებული თ.ლ., 1972 წელს დაბადებული ა.მ., 1986 წელს დაბადებული მ.ჩ., 1977 წელს დაბადებული ი.ბ., 1975 წელს დაბადებული ზ.ლ., 1982 წელს დაბადებული დ.ჯ., 1995 წელს დაბადებული ა.კ., 1990 წელს დაბადებული გ.ა., 1980 წელს დაბადებული კ.ბ. (მეტსახელად „კოკინიჩი“), 1984 წელს დაბადებული გ.ს. (მეტსახელად „ლისოვიჩი“), 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ფ. და უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1980 წელს დაბადებული ა.ჩ., 1982 წელს დაბადებული ს.გ. და 1981 წელს დაბადებული თ.მ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიოვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები – „ჰეროინი“, „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, „ალფა პვპ“ და „ბუპრენორფინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ასევე ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას, გასაღებას და გასაღების მცდელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს უკომპრომისო ბრძოლას ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ. მხოლოდ მიმდინარე წელს, სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 88 ნარკორეალიზატორი დააკავეს და ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებაში“ ძალიან აიხლართნენ, ივანიშვილის დაცვა ქვეყნის მართვა ჰგონიათ“

ნათია ხურცილავა

პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

დავით ჭიჭინაძე: „თუ ფულით ხდება სტატუსის ყიდვა, ივანიშვილზე უფრო დიდი ფული ვის აქვს?! ჩავიდნენ და იყიდონ კანდიდატის სტატუსი“

– ბატონო დავით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი ინფორმაცია ვრცელდება. ბოლო ინფორმაციით, თითქოს უკრაინასა და მოლდოვას მიანიჭებენ სტატუსს, საქართველოს – არა. როგორ ფიქრობთ, დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება რა გავლენას იქონიებს ქვეყანაზე?

– ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვან ეტაპს გავდივართ ყველა ერთად, მთელი ქვეყანა. მთელ ამ პროცესში ძალიან საინტერესოდ გამოიყურება ხელისუფლება. „ქართული ოცნების“ საქციელი, ბოლო დროინდელი განცხადებები მეტყველებს მხოლოდ ერთ რამეზე: მათ არ ეჯერათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ოდესმე შეიძლება რეალობა გამხდარიყო. კი ამბობდნენ დასავლური კურსი, ორიენტაცია, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები და აბსურდი ეგონათ. ამიტომ, არც მწვადს წვავდნენ და არც შამფურს. მათ ვერ გათვალეს, რომ თანამედროვე სამყარო ძალიან ცვალებადია, რომ შეიძლება ერთ წუთში შეიცვალოს მსოფლიო წესრიგი.

„ქართული ოცნება“ უცებ სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა და აქ დაუშვეს შეცდომა. სრულიად მოულოდნელად, უკრაინის ომმა ახალ მსოფლიო წესრიგსა და ახალ პოლიტიკურ რეალობას გაუხსნა ფანჯარა. ახლა, როგორც არასდროს, ისე ახლოს ვართ ევროკავშირთან. საუბარია წევრობის კანდიდატობაზე, რამაც „ქართული ოცნების“ გუნდში აბსოლუტური დაბნეულობა გამოიწვია. გაიხსენეთ, როგორ ამბობდნენ, განაცხადს 2024 წელს გააკეთებდნენ, მაგრამ ხალხის მღელვარებამ პოზიციები შეაცვლევინათ.

– დაბნეულობა რატომ?

– მზად არ არიან. ამან კი „ქართულ ოცნებაში“ შეცდომების მთელი კასკადი გამოიწვია. გაიხსენეთ ის განცხადებები, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა მთელ ევროკავშირს, მთელ დასავლეთს. ამას მოჰყვა ის უმწვავესი რეზოლუცია, რომელშიც ნახსენებია ბიძინა ივანიშვილი ძალიან არასასურველ მდგომარეობაში, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა. შემდეგ მთელი მთავრობა გადავიდა კერძო პირის, როგორც გვეუბნებიან, ბიძინა ივანიშვილის დაცვაზე. ეს ხალხი მზად არის ძალაუფლება მხოლოდ ერთი მიზნით შეინარჩუნოს, რომ ემსახურონ მას და მისი ხელქვეითები იყვნენ. ეს არ არის სახელმწიფოს სამსახურში ყოფნა. ეს არ არის ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე ყოფნა. ამან გამოიწვია ის რეაქცია, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა იმ ცნობილ განცხადებაში, რომელიც ბრიუსელიდან გააკეთა, როდესაც ერთ კონტექსტში მოიხსენია მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– სალომე ზურაბიშვილი სტაჟიანი დიპლომატია. მას აქვს ის ინფორმაცია, რაც ბევრს არა აქვს. მას, მისი დასავლელი კოლეგები ეუბნებიან იმას, რაც არ იწერება პრესაში. ის კი არის არჩეული პრეზიდენტი, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს და როდესაც ისმენს იმას, რასაც ისმენს, როგორც ჩანს, ეს

მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის. ამიტომ ის ცდილობს, რომ დაანახოს დასავლეთს, რომ სახელმწიფოში ერთი ინსტიტუტი მაინც არსებობს, რომელიც ინარჩუნებს დასავლურ კურსს. ის ასევე ცდილობს, წარმოაჩინოს ქართველი ხალხი დასავლეთში, ამ ხალხის პოზიცია და ინტერესები.

– პრეზიდენტი ზურაბიშვილი პასუხისმგებლობას გრძნობს დასავლეთის, ევროკავშირის წინაშე?

– რა თქმა უნდა, სწორედ ამის გამოხატულებაა მისი ბოლოდროინდელი განცხადებები. თან, ნუ გვავიწყდება მისი წარსული, ის ემიგრაციის შვილია და გარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობს მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, როგორი იყო ის არჩევნები და როგორ მძიმედ ჩაიარა. მას აქვს ბევრი ინფორმაცია სწორედ დასავლეთიდან და დარწმუნებული ვარ, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებს ის ამ განცხადებებს.

– რას იტყვით პრემიერ ღარიბაშვილის პოზიციაზე – თუ სტატუსს ვერ მივიღებთ, ამაზე პასუხისმგებელი არ იქნება ხელისუფლება. ასევე, ის საუბრობს რევოლუციაზე, რყევებზე, რომ ამას ოპოზიცია გამოიყენებს.

– ეს არ არის სწორი პოზიცია. ვფიქრობ, ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს ხელისუფლება. ის, რომ ოპოზიციაა თურმე ყველაფრის მიზეზი, რომ ოპოზიციას შეუძლია ქვეყნისთვის სტატუსის მონიჭების დაბლოკვა, ისეთ უსუსურ მდგომარეობაში აყენებს ხელისუფლებას, რომ ამაზე ვერც კი ფიქრობენ. თუ ამდენი შეუძლია ოპოზიციას, თვითონ ძალაუფლების მქონეებს, რატომ მეტი არ შეუძლიათ?! ან თუ ფულით ხდება სტატუსის ყიდვა, თუ პირიქით, როგორც ამბობენ, მაშინ ივანიშვილზე უფრო დიდი ფული ვის აქვს?! ჩავიდნენ და იყიდონ კანდიდატის სტატუსი. ეს ხომ მართლა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ძალიან აიხლართნენ.

არაადეკვატურები რომ არიან, ამის გამოვლინებაა კიდევ ერთი განცხადება, დასავლეთს თუ ევროკავშირს ფარდა რომ უნდა ახადონ. გვეუბნებიან, ველოდებით გადაწყვეტილებას და მერე ყველაფერს ფარდას ავხდითო. ნუ ელოდებიან, უფრო გულწრფელები იყვნენ, ახლავე გვითხრან, რაშია საქმე.

რაც შეეხება რევოლუციურს სცენარებს და მის მომზადებას, ყველას კარგად ახსოვს, წლების წინ როგორ მზადდებოდა თურმე „საბურავების რევოლუცია“, მაგრამ არც ერთი დასჯილი ადამიანი ვერ ვნახეთ. როგორ ხდება, რომ მზადდება ქვეყნის წინაშე შეთქმულება და დანაშაული და მას არც ერთი დამნაშავე არ ჰყავს?! ესეც ძალიან საინტერესოა.

ირაკლი ზარქუა: „კელი დეგნანს მინდა შევახსენო, ეს თემა ჰაერიდან არ მოგვიტანია“

კელი დეგნანს მინდა შევახსენო, ეს თემა ჰაერიდან არ მოგვიტანია – ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებდა უკრაინის დაზვერვის სამმართველოს უფროსი და პრეზიდენტის მრჩეველები, ანუ მათ უკან რუსეთი დგას?

ასე ეხმიანება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი ზარქუა ჟურნალისტებთან აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის განცხადებას.

ამასთან, ზარქუამ კელი დეგნანს დაფიქსირებული პოზიციისთვის მადლობაც გადაუხადა.

– მინდა გამოვეხმაურო ქალბატონი დეგნანის განცხადებას ომთან მიმართებაში, რომ ეს არის რუსული პროპაგანდა, მადლობა ამ პოზიციისთვის,

მე მაშინ მინდა შევახსენო ქალბატონ დეგნანს, ჩვენ ეს თემა ჰაერიდან არ მოგვიტანია. ჩვენ ამისკენ მოგვიწოდებდა უკრაინის სადაზვერვო სამმართველოს უფროსი, რომ მეორე ფრონტი უნდა გაიხსნას, ზელენსკის ადმინისტრაციის მრჩევლები, რომლებიც ამბობდნენ – რა ცუდია, რომ საკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ არ არიან ხელისუფლებაში, რადგან მეორე ფრონტი გახსნილი იქნებოდა. მაშინ ეს რა არის? ე.ი. ისინი რუსულ ინტერესებს ასახიერებდნენ? ანუ მათ უკან დგას რუსეთი? კითხვას ვსვამ. შეგიძლიათ ერთი თემა მითხრათ, რომ ჩვენი გუნდის წევრმა თქვა, რომ ამერიკას ომი უნდა?! ერთი მითხარით, ვინ თქვა? „– განაცხადა ზარქუამ.

კითხვაზე, როგორ შეიძლება კელი დეგნანის განცხადება უკრაინის მაღალჩინოსნებისთვის გაცემულ პასუხად აღვიქვათ, როცა არც ერთი მათგანი არ საუბრობდა, რომ აშშ-ს სურს საქართველოს ომში ჩართვა და ამას „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ექსპერტები ამბობდნენ, ზარქუა აცხადებს, რომ „ექსპერტები კი არა, თავად დეპუტატი დგას და კითხვებს პასუხობს, ხოლო როცა შევხვდებით იმ ექსპერტს, ეს მას ვკითხოთ“.

– დეგნანის განცხადება იყო მნიშვნელოვანი, ის, ვინც საქართველოს ომისკენ ითრევს, ეს არის რუსული ინტერესები, რუსული დეზინფორმაცია, ცალსახად ხომ ითქვა?! ჩვენ მოგვიწოდებდა ომში ჩართვისკენ უკრაინის დაზვერვის სამმართველოს უფროსი, მრჩევლები ასევე, ერთიც და მეორეც – პოდოლიაკი და არესტოვიჩი, გეკითხებით, ისინი რუსულ ინტერესებს ემსახურებიან?! – განაცხადა ზარქუამ.

აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის თქმით, განცხადებები, რომ შეერთებული შტატები საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს, საქართველოს ომში ჩათრევას ან მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს, ეს არის 100%-ით რუსული დეზინფორმაცია და ეს აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს.

მისი თქმით, შეერთებულმა შტატებმა, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერი გააკეთა ამ ომის შესაჩერებლად.

სალომე სამადაშვილი: „თუ ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ მოგვცემს, ეს დიდი ხნით გვართმევს შანსს“

თუ ევროკავშირი მიიღებს გადაწყვეტილებას, კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭოს მოლდოვასა და უკრაინას და საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ მიენიჭება, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს ჩვენ ძალიან დიდი ხნით გვართმევს შანს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდეთ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ლელოს“ წევრმა, დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, თუ არ გადაწონის გეოპოლიტიკური არგუმენტები და ევროკავშირი არ მოგვცემს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ამაზე სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ დაეკისრება.

– უნდა გვესმოდეს, „ქართულო ოცნება“ სამარცხვინოდ ატყუებს ჩვენს საზოგადოებას. მაგალითად, დაიწყო ღია პროპაგანდა, მათ შორის „იმედმა“ საკუთარი კვლევებით, თითქოს, საქართველოს ხელისუფლებას ვინმე სთხოვს ომში ჩართვას.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მოლდოვის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით არის ძალიან ფრთხილი, მოზომილი, სწორედ საკუთარი უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე. დღეს ვხედავთ, ღიად არის საუბარი იმაზე, რომ მოლდოვას შესაძლოა, გაცილებით უკეთესი შანსი ჰქონდეს, ვიდრე საქართველოს, რომ მიიღოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. რატომ? იმიტომ, რომ მოლდოვის ხელისუფლება ღიად ამბობს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რაც შეიძლება სწრაფად დააკმაყოფილონ ყველა კრიტერიუმი, რაც უკავშირდება ევროკავშირში გაწევრიანებას.

უპირობოდ რომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება არ არსებობს, უნდა გვესმოდეს. ამ დროს, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც აცხადებს, რომ არ აპირებს არანაირი პირობების შესრულებას და, შესაბამისად, ყველა ნაბიჯი და ყველა განცხადება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა გასული კვირების განმავლობაში, მიზანმიმართულად ხელს უშლის ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. თუ არ გადაწონის გეოპოლიტიკური არგუმენტები და ევროკავშირი არ მოგვცემს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, ამაზე სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ დაეკისრება.

ეს ჩვენს კონსტიტუციურ ჩანაწერს ეწინააღმდეგება, რომელიც ნათლად აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანა არის ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

ამასთან, როგორც სამადაშვილმა აღნიშნა, იმისთვის, რომ ქვეყანა გაწევრიანდეს ევროკავშირში, მას უნდა ჰყავდეს ხელისუფლება, რომლის ამოცანაც ესაა.

– „ქართული ოცნებისადმი“, რომელმაც მიშელის შეთანხმება დაარღვია, მანამდეც არაერთხელ მოატყუა დასავლელი პარტნიორები, აღარ არსებობს არანაირი ნდობა დასავლეთში. ამ ხელისუფლების დღის წესრიგი არის ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება და, შესაბამისად, ამ ნდობას ამტკიცებს ყველა განცხადება, რომელსაც ღარიბაშვილი აკეთებს.

როდესაც ქვეყანას ჰყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც იმაშიც ვერ გარკვეულა, კანდიდატი ქვეყნის სტატუსი სიმბოლური თუ რეალური მიღწევაა, ამ ქვეყანას, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების პირობებში დიდი წარმატების შანსი და მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს, – განაცხადა სამადაშვილმა.

ბექა დავითულიანი: „არა მგონია, სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით დადგეს“

არა მგონია, სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით დადგეს, რომელსაც წლების განმავლობაში ებრძოდა – შეწყალებაზე „დაასტატუსა“, რომ „არა და არასდროს“.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა ბექა დავითულიანმა განაცხადა.

დავითულიანი აცხადებს, რომ შეწყალება პრეზიდენტის დისკრეციაა და „ვერავინ ვერავის შეაშინებს“.

– არავინ არავის აშინებს და ვერ შეაშინებს, როცა ამ მნიშვნელობის თემაზე ვსაუბრობთ. ყველა ვხედავთ, რომ ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსი დაემსახურებინა, იმ ორ ქვეყანაზე ბევრად წინ არის ყველა კრიტერიუმით. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის გადასვლა-გადმოსვლას, რადიკალური ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს თავისთვის სასარგებლო შიდაპოლიტიკური აქტი გამოადნოს. ზურაბიშვილის მათ მხარეს გადასვლა მათ აწყობთ შიდა პოლიტიკისთვის, მე არ მგონია, სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით დადგეს, რომელსაც წლების განმავლობაში ებრძოდა. შეწყალების ნაწილთან მიმართებით, ეს მისი პრეროგატივაა, „ფეისბუქზე“ დაასტატუსა რომ „არა და არასდროს“, – განაცხადა დავითულიანმა.

„ამერიკელები „სტავკას“ სალომე ზურაბიშვილზე დებენ?!“

მირიან მირიანაშვილი: „ევროკავშირზე არც „ქართული ოცნება“ იტკივებს თავს და არც წინა პლანზე მყოფი ოპოზიცია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.

– ევროკავშირის სტატუსის მოლოდინში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მომხრეები აგრძელებენ დასავლეთის, განსაკუთრებით, ევროკავშირის სტრუქტურების მწვავე კრიტიკას. კრიტიკა გამძაფრდა განსაკუთრებით ევროპარლამენტის რეზოლუციის შემდეგ. „ოცნების“ ზოგიერთი წევრი და მომხრე აცხადებს, რომ ევროპარლამენტში ისტერია ატყდა მას შემდეგ, რაც საქართველომ არ შეასრულა მოთხოვნა ომში ჩართვაზე.

– ეს რომ მხოლოდ პარტიის რიგითი წევრების აზრი იყოს, ამას ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდით. მთავარი ისაა, რომ დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებებს აკეთებს პრემიერ-მინისტრი. ეს, ფაქტობრივად, არის პოლიტიკური ბრალდება. მალე მოვა დასაბუთების დროც. ძალიან მალე პრემიერ ღარიბაშვილს მოსთხოვენ პერსონალიზაციას (გვარების დასახელებას), დეტალიზაციას და იგი მძიმე დღეში აღმოჩნდება.

– თუ ვერ დაამტკიცა, თუ ვინ ითრევდა საქართველოს ომში?

– სწორედ ამას ვამბობ. ვნებათაღელვას გამოიწვევს გვარების დასახელებაც და დაუსახელებლობაც. პრემიერი უკვე აღმოჩნდა რთულ მდგომარეობაში. ბოქსში არსებობს ტერმინი „კლინჩი“. ღარიბაშვილი შევიდა პოლიტიკურ კლინჩში დასავლეთთან. ეს მას გაუცნობიერებლობითა და გამოუცდელობით გამოუვიდა. გავიხსენოთ მისი სიტყვები იმაზე, რომ ბევრ რამეს ფარდას ახდის.

– ევროპარლამენტის რეზოლუციამ განსაკუთრებით ააღელვა „ოცნება“.

– სინამდვილეში, ეს რეზოლუცია არ არის მიმართული საქართველოს წინააღმდეგ. პირიქით, მასში გამოთქმულია წინადადება, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. ნიშანდობლივია ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადება. მან თქვა, რომ მოსალოდნელი იყო საქართველოსთვის ამ სტატუსის მიცემა, მაგრამ იმ განცხადებების შემდეგ, რაც ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში კეთდებოდა საქართველოში (ევროპარლამენტის რეზოლუციის მიღების შემდეგ), ეს შეუძლებელიაო. ეს ანტიევროპული, ანტიდასავლური განცხადებები აიტაცა ანტიქართულმა ლობიმ. ანტიქართულად განწყობილი პირები და ჯგუფები ევროკავშირის სტრუქტურებში არიან. მათ უნდოდათ საბაბი იმისთვის, რომ საქართველოს უარი მიეღო წევრობის კანდიდატის სტატუსზე. საქართველოსთვის ამ სტატუსის მინიჭებას აქტიურად უჭერდა მხარს აშშ, რომლისთვისაც ამ სტატუსის არმიცემა რუსეთის გამარჯვებას ნიშნავს.

– გინდათ თქვათ, რომ თუ უარს გვეტყვიან და ამის მიზეზი ბოლოდროინდელი ანტიდასავლური განცხადებები იქნება?

– ეს განცხადებები, რომლებიც გაკეთდა საქართველოში, ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს ამ სავარაუდო უარში.

– რისი მანიშნებელია მმართველი გუნდის განცხადება იმის შესახებ, რომ უარის მიღების შემთხვევაში, ხელისუფლება არ კისრულობს პასუხისმგებლობას?

– საინტერესოა, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ არა ხელისუფლებას?! აშკარაა, რომ ევროკავშირზე არც „ქართული ოცნება“ იტკივებს თავს და არც წინა პლანზე მყოფი ოპოზიცია. საქართველოს პოლიტიკური ელიტა მთლიანობაში ანტისახელმწიფოებრივად იქცევა. აბა, სხვა რას მივაწეროთ 20 ივნისის აქციაში ოპოზიციის აქტიურობა?!

– იმ დღისთვის ევროკომისიას გამოტანილი ექნება თავისი დასკვნა საქართველოზე.

– სწორედ მანდა ვარ. თუ ატარებ აქციას ევროინტეგრაციის, ევროპის მხარდაჭერის მოთხოვნით, მაშინ ეს მანამდე უნდა გააკეთო, ვიდრე ევროკომისია გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩვენ რას ვაკვირდებით? ოპოზიცია იყენებს ამ დღეს და ამ აქციას საკუთარი ვიწრო მიზნებისთვის. საერთოდ, ბოლო დროს მოხდა საქართველოს პოლიტიკური ელიტის ღუსტრაცია.

– საქართველოს პრეზიდენტს ადრეც ჰქონია მმართველი გუნდისგან, ხელისუფლების სხვადასხვა შტოსგან განსხვავებული მოსაზრებები. „ოცნების“ ლიდერებსა და სალომე ზურაბიშვილს შორის ყოფილა სკანდალური დაპირისპირებაც. ბოლო დროს ამან უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო? ირაკლი კობახიძეს არ მოეწონა სალომე ზურაბიშვილის გამონათქვამები იმაზე, რომ ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ სააკაშვილს, გვარამიასა და ივანიშვილს. მმართველი პარტია აცხადებს, რომ ზურაბიშვილს გაპრეზიდენტებაში ივანიშვილი დაეხმარა.

– კობახიძის განცხადებებში არეულია მართალი და ტყუილი. ის, რომ სალომე ზურაბიშვილს ბიძინა ივანიშვილი არჩევნებზე დაეხმარა, ამის წინააღმდეგ დავა შეუძლებელია. თქვენ მიერ მოყვანილი პრეზიდენტის კომენტარი გაკეთდა უფრო გარე აუდიტორიისთვის.

> „დასავლეთში არკვევენ, დგას თუ არა ვინმე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული გუნდის ანტიდასავლური განცხადებების უკან“

– კერძოდ?

– სალომე ზურაბიშვილს უნდოდა ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ოპოზიციისთვის ევროინტეგრაციაზე უფრო მნიშვნელოვანია სააკაშვილისა და გვარამიას ბედი, მმართველი პარტიისთვის კი – ივანიშვილის ბედი. მას ამგვარად უნდა თავი წარმოიჩინოს, როგორც ევროინტეგრაციაზე მზრუნველ ერთადერთ პირს. სალომე ზურაბიშვილი თავისი აქტიურობით, თავისი განცხადებებით ძაბავს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. არც ერთს არ უნდა, რომ აშშ-მ სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკურ ბერკეტად გამოიყენოს. საქართველოს პოლიტიკურ ელიტას გულზე მოხვდა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი რომში, სადაც მას დიდი პატივით დახვდნენ. რეალურად, ეს აშშ-ის რეკომენდაცია იყო. არის ეჭვი, რომ (რუსულ სლენგს თუ გამოვიყენებთ), ამერიკელები „სტავკას“ სალომეზე დებენ. ამის საწინააღმდეგოდ გვესმის, რომ პრეზიდენტი სიმბოლოა. თეა წულუკიანი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს საქართველოში სიმბოლური დატვირთვა აქვს. არადა, პოლიტიკაში ყოველთვის სიმბოლოების გამოყენება ხდება, პოლიტიკურ ფუნქციებს ვინ უყურებს!

– პრეზიდენტის ინსტიტუტი ასეთი ხელწამოსაკრავიც არ არის?

– პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებენ სიმბოლოები და, რა თქმა უნდა, ინსტიტუტები.

– ევროპარლამენტის რეზოლუციაში დაანონსდა სანქციები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. მოსალოდნელია სანქციების ამოქმედება?

– ამას დაანონსებას ვერ ვუწოდებ. რეზოლუციაში არის სანქციების მოთხოვნა. ევროპარლამენტი განსხვავდება ეროვნული პარლამენტებისაგან და მის რეზოლუციებს სარეკომენდაციო სახე აქვს. რასაკვირველია, რეზოლუცია არ მიღებულა ევროპის გავლენიანი ძალების დირიჟირების გარეშე. ეს არის მუქარა ბიძინა ივანიშვილის, ასევე, საქართველოს ხელისუფლების მისამართით. რეზოლუციას მარტო ევროპის სახალხო პარტიამ არ დაუჭირა მხარი.

– ევროპის სახალხო პარტია ინიციატორი იყო.

– დიახ. ეს მსხვილი ფრაქცია უამრავი რეზოლუციის ინიციატორია. მისი ინიციატივები გადის. მაქვს კულუარული ინფორმაცია იმაზე, თუ რას მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისაგან. ეს არის კურსის შეცვლა.

– რა იგულისხმება ამაში?

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს აგრესია ევროსტრუქტურებისადმი. ამისათვის, არაოფიციალურად, დაახლოებით ერთი თვე ეძლევა. ანტიევროპული განცხადებების, ამ კონვეიერის დაუყოვნებლივ შეწყვეტა როგორ უნდა მოხდეს, არ ვიცი. საამისო ბერკეტი ბიძინა ივანიშვილს აქვს. სტატუსიც რომ არ მივიღოთ, ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთს ჩამოვშორდებით. აშშ-ის აქტიური შემოსვლა რეგიონში გარდაუვალია. მისი რეგიონიდან წასვლა – გამორიცხული. გამორიცხულია ჩვენი შეტოვება რუსეთის ხელში. რუსეთის ორბიტაზე დარჩენა რომ არ გვიწერია, დროა, ყველა მიხვდეს. საქართველოს შიდა პოლიტიკურ მოძრაობებს შეუძლიათ ამ პროცესის ოდნავ შენელება ან დაჩქარება და არა დაბრკოლებების შექმნა. რაც უფრო ადრე გაიაზრებენ ამას ქართველი პოლიტიკოსები, მით უკეთესი იქნება პირადად მათთვის, მათი პოლიტიკური მომავლისთვის და ყველასთვის. „ქართული ოცნების“ გუნდი, უფრო სწორად, ახალგაზრდული გუნდი უცნაურად, პროვოკაციულად იქცევა. ეს გუნდი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ეს მოდის ბიძინა ივანიშვილისგან. დასავლეთში არკვევენ, დგას თუ არა ვინმე „ოცნების“ ახალგაზრდული გუნდის უკან. თუ გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდები თავისით მოქმედებენ, სანქციები მათზე წამოვა.

გიორგი ვაშაძე: „სახეზე გვაქვს შეთქმულება სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ“

– სახეზე გვაქვს უმძიმესი და უბოროტესი შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. დიახ, მთელი საქართველოს მასშტაბით გააქტიურებულია რუსული აგენტურული ქსელები, რომლებიც დეზინფორმაციას ავრცელებენ საზოგადოებაში.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ქუთაისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ვაშაძე აღნიშნავს, საქართველოს მოქალაქეების განწყობა ევროპულ პერსპექტივასთან დაკავშირებით ერთიანია.

– ღიად უნდა ვთქვათ, რომ სახეზე გვაქვს უმძიმესი და უბოროტესი შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. დიახ, მთელი საქართველოს მასშტაბით გააქტიურებულია რუსული აგენტურული ქსელები, რომლებიც დეზინფორმაციას ავრცელებენ საზოგადოებაში. რაც ყველაზე საგანგაშოა, მათი იდეოლოგიური წყარო არის „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებები, სწორედ ის ანტიდასავლური, ანტიეროვნული და ანტიქართული განცხადებები, რომელიც გვესმის „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან.

დავდივართ რაიონებში და მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მოქალაქეების განწყობა არის ერთიანი ევროპულ პერსპექტივასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, თითოეული მოქალაქე კარგად არჩევს ტყუილს და მართალს, დეზინფორმაციას, სიცრუეს და სიმართლეს და აუცილებლად პასუხი გაეცემა ამ შეთქმულებას, რომელსაც „ქართული ოცნების თაოსნობით ახდენს გარკვეული ჯგუფი საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ.

ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა წერტილი დაუსვა ერთ-ერთ ყველაზე დიდ დეზინფორმაციას და სპეკულაციას, რომელსაც „ქართული ოცნება“ თავისი საცეცების მეშვეობით რუსულ სპეცსამსახურებთან ერთად ავრცელებდა საქართველოს მასშტაბით, რომ თითქოს ამერიკას და დასავლეთს საქართველოს ომში ჩართვა უნდა. ეს არის 100%-ით დეზინფორმაცია, – განაცხადა ვაშაძემ.

ამასთან, გიორგი ვაშაძე გამოეხმაურა ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით, საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივ აზრის კვლევას, რომლის თანახმადაც, გამოკითხულ რესპონდენტთა 77,6% ეთანხმება „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, არ ჩაერთოს საქართველო რუსეთ-უკრაინის ომში, 20,8% – არ ეთანხმება.

როგორც ვაშაძემ განაცხადა, „ეს არის დუგინების, პესკოვების, ნარიშკინების დაწერილი ჰიბრიდული ომის სტრატეგიით მართული კამპანია“.

– ეს არის ცრუ დეზინფორმაცია, რომელსაც ავრცელებს ტელეკომპანია „იმედი“ იმისთვის, რომ სისრულეში მოიყვანონ საქართველოს წინააღმდეგ არსებული შეთქმულება, რომლის მონაწილეებიც „ქართული ოცნება“ და მის ლიდერები არიან“ – განაცხადა ვაშაძემ.

ცნობისთვის, „სტრატეგია აღმაშენებელი“ საქართველოს მასშტაბით 100-საათიან უწყვეტ ტურნეს ატარებს.

რუსული დეზინფორმაციის მანქანას სჯერა, რომ ისტორიას გადაწერენ

აშშ-ის საელჩოს განცხადება

რუსული დეზინფორმაციის მანქანას სჯერა, რომ აბსურდული ტყუილების მრავალჯერ გამეორებით რეალობა შეიცვლება და ისტორიას გადაწერენ – ინფორმაციას და ფაქტებს ამერიკის საელჩო ავრცელებს.

ფაქტები კი ასეთია:

1991 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოში

2008 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოში

2014 წელს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში

2022 წელს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში

– ამ და სხვა საომარი მოქმედებების დაწყებას რუსეთი აბრალებს ყველას, საკუთარი თავის გარდა. მათ თუ დავუჯერებთ, უკრაინაში ომი დაიწყო თავად უკრაინამ, ნატომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს – ებრაელმა ნაცისტებმა.

დასავლეთის ერთობლივი მხარდაჭერით, საქართველო და უკრაინა ფეხზე დგას, ინარჩუნებს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. რაც არ უნდა აღიზიანებდეს რუსეთს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, შეერთებული შტატები თავის პარტნიორებს ზურგს არ შეაქცევს. დასავლეთი ასეთი ერთიანი არასდროს ყოფილა, – წერს საელჩო ოფიციალურ გვერდზე.

ვახტანგ გომელაური უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, აზიზბეკ იკრამოვთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივები განიხილეს.

ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შესახებ ქართული მხარის მიერ უზბეკი კოლეგებისთვის გაზიარებული გამოცდილება მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება.

უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები ეწვევიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრს, მომსახურების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას და თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, სადაც აღნიშნული დანაყოფების საქმიანობის სპეციფიკას გაეცნობიან.

პროკურორი: „სახალხო დამცველს ბრალდებისგან არ მოუთხოვია ინფორმაცია ნიკა გვარამიას ბრალდების საქმესთან დაკავშირებით“

სახალხო დამცველს, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ბრალდების მხარისგან არ მოუთხოვია არანაირი ინფორმაცია ან/და განმარტებები ნიკა გვარამიას ბრალდების საქმესთან დაკავშირებით და ეყრდნობა მხოლოდ დაცვის მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მათ მიერ შეთავაზებულ უსაფუძვლო ვერსიას, რომელიც ფაქტობრივად არც ერთი მტკიცებულებით არ არის გამყარებული.

ამის შესახებ „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას საქმის პროკურორმა ვლადიმერ ვექილიანმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნიკა გვარამიას საქმეზე სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნასთან დაკავშირებით განაცხადა.

პროკურორის თქმით, სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას ბრალდების ე.წ. რეკლამის გაყიდვის ეპიზოდს აფასებს მტკიცებულებების და დასაბუთების თვალსაზრისით და არ შედის ქმედების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციაში, მიიჩნევს, რომ დასახელებულ ეპიზოდზე დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება.

თუმცა, როგორც პროკურორი განმარტავს, სახალხო დამცველის განმარტებით, ის იზიარებს პოზიციას, რომლის თანახმად, საწარმოსთვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება სისხლისსამართლებრივად დასჯადიც იყოს.

– აღსანიშნავია, რომ ყველა ამ შეკითხვაზე პასუხი გაცემულია არაერთხელ, მათ შორის, საქმის არსებითი განხილვისას და სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში. ნიკა გვარამიას და კახაბერ დამენიას მიმართ გამოყენებული მტკიცებულებები აკმაყოფილებენ შემოთავაზებულ სტანდარტს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, – განაცხადა პროკურორმა.

პროკურორის თქმით, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის პოზიცია არ გამომდინარეობს მტკიცებულებებიდან, ვინაიდან ნიკა გვარამიას დაინტერესება უტყუარად არის დადგენილი და ასახული სასამართლოს განაჩენში. მისივე თქმით, სწორედ ეს ფაქტი გახდა საფუძველი იმისა, რომ ნიკა გვარამია ცნობილი იქნა დამნაშავედ.

სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას საქმეზე გამოქვეყნებულ დასკვნაში მიუთითებს, რომ ბოლო წლებში 220-ე მუხლით მსჯავრდებისას საპატიმრო სასჯელი არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოყენებული, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ შემთხვევაშიც, სახალხო დამცველი დაკავებულია არასწორი ინფორმაციის გავრცელებით.

პროკურორის თქმით, ბოლო წლების განმავლობაში, სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციების მიერ არაერთი პირის მიმართ გამოყენებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

– შესაბამისად, დასკვნა, რომ თითქოსდა სასამართლოს მიერ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ნიკა გვარამიას შემთხვევაში იქნა გამოყენებული, არის უსაფუძვლო და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, – განაცხადა ვლადიმერ ვექილიანმა.

პროკურორის განცხადებით, იმ პირობებში, როდესაც ნიკა გვარამიას ბრალდების საქმეჯერ კიდევ არ განხილულა სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ, სახალხო დამცველი ახდენს პირველი ინსტანციის განაჩენის რევიზიას, რითაც ცდილობს მართლმსაჯულების განხორციელების შეთავსებას.

მისივე თქმით, სახალხო დამცველის მხრიდან სასამართლოს განაჩენის არაკანონიერად გამოცხადება სცდება სახალხო დამცველის კომპეტენციას.

პროკურორის განცხადებით, ნატალია ილიჩოვამ და ივერი მელაშვილმა დანაშაული ჩაიდინეს

დავითგარეჯის საქმის პროკურორის გიორგი მუჯირის განცხადებით, ბრალდებულებმა, ნატალია ილიჩოვამ და ივერი მელაშვილმა დანაშაული ჩაიდინეს.

პროკურორის განმარტებითვე, ის ალბომები, რაც საფუძვლად ედებოდა ორმხრივ შეთანხმებებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ბრალდებულების მონაწილეობით იყო შედგენილი. მუჯირის განცხადებით, სწორედ ეს პოზიცია საბოლოო ჯამში არღვევდა სახელმწიფო ინტერესს.

– წარმოდგენილმა მოწმეებმა გაამყარეს ბრალდების მხარის პოზიცია. სასამართლო სხდომაზე დაკითხული იქნა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის ორი ყოფილი წევრი, ასევე, საქართველოს ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში, რომელიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ორმხრივ შეხვედრებში.

მათ აღწერეს ის ფუნქციები და ის მოვალეობები, რომელიც კომისიის წევრების წინაშე იმ მომენტისთვის იყო და მათი ჩვენებებით დგინდება, რომ ის ალბომები, რაც საფუძვლად ედებოდა ორმხრივ შეთანხმებებს, შედგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ სწორედ ბრალდებულების მონაწილეობით.

სწორედ ეს ქმედება და მათ მიერ შეთანხმებული, გამოხატული სახელმწიფო პოზიცია საბოლოო ჯამში არღვევდა სახელმწიფო ინტერესს იმგვარად, რომ საფრთხე ექმნებოდა სახელმწიფო ტერიტორიის ხელშეუხებლობას. სწორედ ამიტომ, ეს კონკრეტული მტკიცებულებები ბრალდების მხარის მტკიცებულებებია, ვინაიდან კომისიაში გამოიკვეთნენ კონკრეტული წევრები, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობდნენ.

კომისიის წევრებს გააჩნდათ თავიანთი ფუნქცია და მოვალეობები, ისინი ჩართული იყვნენ თანამდებობრივად და კონკრეტული კომპეტენცია გააჩნდათ. საზღვრის დადგენის მომენტში, ვგულისხმობ კარტოგრაფიულ ნაწილში, საზღვრის დადგენის ნაწილში და ამ საკითხში კომპეტენტურები იყვნენ წარმოდგენილი ბრალდებულები.

სწორედ ეს გახლავთ სახელმწიფო ბრალდება, რომ სწორედ ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ბრალდებულის სტატუსით არიან წარმოდგენილი, მათ ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფო ტერიტორიის ხელშეუხებლობის დარღვევისკენ.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულია ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც კატეგორიული და ცალსახაა. კომისიას სრული, სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა ეხელმძღვანელა საქართველოს პოზიციების გამომხატველი საუკეთესო რუკებით, რაც ამ შემთხვევაში გაკეთებული არ იყო და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ საზღვრის შეთანხმებისაკენ, რაც დადასტურებული აქვს ბრალდების მხარეს კონკრეტული ექსპერტიზის დასკვნით, – განაცხადა მუჯირმა.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის, დავითგარეჯთან მიმართებაში.

სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან გასული 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

უჩა მამაცაშვილი „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წინააღმდეგ

სასამართლომ უჩა მამაცაშვილის სარჩელის განხილვა დაიწყო. ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი „ანტიკორუფციულ მოძრაობას“ უჩივის, რომელმაც ის ქოლ-ცენტრების მფარველობაში ამხილა.

გარდა ამისა, მამაცაშვილი დენის იმპორტის საქმეშიც ფიგურირებს, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია, არასამთავრობო ორგანიზაციამ სემეკისგან მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ, სახელმწიფო სტრუქტურა ცნობებს ასაიდუმლოებს.

საქმის სამართლებრივი განხილვა სასამართლო კლანის ტრადიციების სრული დაცვით რომ წარიმართება, ეს პირველივე პროცესზე გახდა ცხადი. მოსამართლემ, მოპასუხისგან განსხვავებით, უჩა მამაცაშვილის ყველა უფლებადამცველის ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ავარია ქობულეთში

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისძირში, ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა, რა დროსაც ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 2 დაშავდა.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკაში გადაიყვანეს.

გვირაბის მშენებლობის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა



სოფელ კობთან, სათადარიგო გვირაბის მშენებლობის დროს, ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

დაღუპული ჩინეთის მოქალაქეა.

ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

„სოფელ კობთან მიმდინარე სათადარიგო გვირაბის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, მშენებლობაზე დასაქმებული ჩინეთის მოქალაქე გარდაიცვალა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია გამოძიება“, – ნათქვამია განცხადებაში.

შოთა თუთბერიძე: „სააკაშვილის მდგომარეობის მიმართულებით პოზიტიური ეფექტი არ გვაქვს“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ადვოკატის, შოთა თუთბერიძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ უმჯობესდება და პოზიტიური ეფექტი არ შეინიშნება.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, სააკაშვილი სრულფასოვან მკურნალობასა და კვებას ამ დრომდე ვერ იღებს.

– სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჩემი აზრით, არ უმჯობესდება. ამასთან, თავს სუსტად გრძნობს და ამ დრომდე სრულფასოვანი მკურნალობა და კვება ხელმიუწვდომელია. მკურნალობის გარკვეული ელემენტები მიმდინარეობს, თუმცა ის, რომ ამ დრომდე მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, იმის ინდიკატორია, რომ ამ მიმართულებით პოზიტიური ეფექტი არ გვაქვს.

დღეს ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზის ნაწილში, ექსპერტთა მორიგი ვიზიტია დანიშნული და ველოდებით ამ ექსპერტიზის დასკვნას. იმედი მაქვს, მას შესაძლებლობა ექნება, რომ ექსპერტებთან თანამშრომლობა მოახერხოს, – განაცხადა შოთა თუთბერიძემ.

ბათუმში რესტორანი გაქურდეს

ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, რესტორანი გაქურდეს. მფლობელების თქმით, წაღებულია ფული და კომპიუტერი.

ამის შესახებ ინფორმაციას „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

მედიის ცნობით, თანამშრომლებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები ნახეს, რომელშიც ჩანს, როგორ იღებს სალაროდან კაცი ფულს.

მათი თქმით, პოლიციას პირის დადგენა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან, ვიდეოჩანაწერის მიხედვით, მისი იდენტიფიცირება რთული არ არის.

ქუთაისში, მიკროავტობუსში 59 წლის ქალი გარდაიცვალა

ქუთაისში, მიკროავტობუსში მგზავრი გარდაიცვალა. ინფორმაცია ამის შესახებ „პრაიმთაიმს“ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში დაუდასტურეს.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი 59 ქალია.

გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

კორუფცია გორის მერიაში

გორის მერიას დაქვემდებარებულ კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს პროექტების მენეჯერი ქრთამის აღებაში ამხილეს.

საქმეში, რომელსაც ანტიკორუფციული საგენტო იძიებს, „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერები დევს.

ჩანაწერებით დგინდება, რომ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანი გაურიგდა ინდ. მეწარმე გიორგი აბრამიშვილს და მისგან გამარტივებული ხელშეკრულების სანაცვლოდ ქრთამი აიღო.

მაია შარაშენიძის აღკვეთ ღონისძიებაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ უკვე იმსჯელა და ბრალდებული 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. ის ოფიციალურად ამ დრომდე არ გაუთავისუფლებიათ, გორის ტურიზმისა და კულტურის სააგენტოში ამბობენ, რომ ის შვებულებაშია.

– არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, რაზეც შემიძლია დეტალურად საუბარი, გარდა იმისა, რომ დილით ერთ-ერთი მედიასაშუალებით მოვისმინე. იმის იქით ნამდვილად არაფერი ვიცი, რაზეც კომენტარის გაკეთება შემიძლია. პროექტების მენეჯერია, გასულ კვირას, რამდენადაც ვიცი, შვებულება აიღო და შვებულებაში იმყოფება დღეის მდგომარეობით, – ამბობს კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ქეთი დვალიშვილი.

ბრალდებულის ადვოკატი, თამარ თედლიაშვილი ადასტურებს, რომ საჯარო მოხელეს ქრთამის აღებას ედავებიან და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, საქმე ეხება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებას, როდესაც შარაშენიძემ ერთ-ერთ კომპანიას კონკრეტული მომსახურების, ფოიერვერკის სანაცვლოდ, ხელშეკრულება გაუფორმა და ამაში ქრთამი აიღო.

რომის პაპი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ჩეჩნების და სირიელების გამოყენება ამაზრზენია



რომის პაპი ფრანცისკე მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში დაქირავებული მებრძოლების, მათ შორის ჩეჩნებისა და სირიელების გამოყენება, ამაზრზენია.

ბიბისის ინფორმაციით, ამის შესახებ იტალიურ გამოცემა ლა სტამპაში გამოქვეყნებულ სტატიაშია აღნიშნული.

ამასთან, პაპი რუსულ ჯარს აღწერს, როგორც „სასტიკსა და ულმობელს“ და აცხადებს, რომ უკრაინელები „გადარჩენისთვის იბრძვიან“.

რომის პაპი იმედოვნებს, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქ კირილს სექტემბერში, ყაზახეთში შეხვდება.

აშშ: „ვმუშაობთ უკრაინიდან მოპარული მარცვლეულის აღსაკვეთად“

ვმუშაობთ სხვა ქვეყნებთან ერთად, რათა აღვკვეთოთ იმ მარცვლეულის გაყიდვა, რომელიც, სავარაუდოდ, უკრაინიდან მოიპარეს.

ამის შესახებ თეთრი სახლის პრესსპიკერმა, კარინ ჟან-პიერმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი აზიანებს უკრაინაში მარცვლეულის შესანახ ობიექტებს, იპარავს უკრაინულ მარცვლეულს და აქტიურად ბლოკავს სურსათის ექსპორტს უკრაინის პორტებიდან, რაც მსოფლიოში შიმშილის მაჩვენებელს ზრდის.

თეთრი სახლის პრესსპიკერმა ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატები უკრაინის დახმარებას გააგრძელებს.

– ჩვენ ვაპირებთ, გავაგრძელოთ უკრაინის დახმარება მათი დემოკრატიის დაცვის კუთხით. ეს არის პუტინის ომი. ეს არის პუტინის აგრესია – არაპროვოცირებული აგრესია სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის მიმართ. ეს არის პუტინის ომი, რომელიც უნდა დასრულდეს, – აღნიშნა თეთრი სახლის პრესსპიკერმა.

ლიეტუვა საფრანგეთიდან 18 ჰაუბიცას შეიძენს

ლიეტუვამ საფრანგეთიდან 18 ჰაუბიცას შეძენაზე შეთანხმებას მიაღწია.

ინფორმაციას მედია საშუალებები ორივე ქვეყნის თავდაცვის მინისტრებზე დაყრდნობით ავრცელებენ.

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრის, არვიდას ანუსაუსკასის განცხადებით, ჰაუბიცები „მნიშვნელოვნად გააძლიერებს“ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებს.

ლიეტუვა, რომელიც რუსეთს ესაზღვრება, ცდილობს, უკრაინაში მოსკოვის შეჭრის ფონზე, თავისი არსენალი გააძლიეროს. ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება, 2022 წლის თავდაცვის ბიუჯეტი 300 მილიონი ევროთი გაზარდოს.

ოლაფ შოლცი: „გერმანია მზადაა, უკრაინას თანამედროვე იარაღი მიაწოდოს“

გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის განცხადებით, გერმანია მზადაა, უკრაინას თანამედროვე შეიარაღება მიაწოდოს.

– აშკარაა, რომ უკრაინას სჭირდება დამატებითი იარაღი თავდაცვისთვის. ამ კრიტიკულ ფაზაში მნიშვნელოვნად ვაფართოებთ ჩვენს მხარდაჭერას: უკრაინას უახლეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასა და არტილერიის აღმოჩენის რადარს მივაწვდით, – განაცხადა კანცლერმა.

მისივე თქმით, იარაღის მიწოდება მოხდება ევროპელ და ნატოელ პარტნიორებთან კოორდინაციით.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია, გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დაიცვან ნატოს ტერიტორიის „ყოველი ინჩი“ და რომ ბერლინი გაზრდის თავის ყოფნას ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე.

თურქეთმა შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა

თურქეთმა შავი ზღვის ფსკერზე ახალი გაზსადენის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ცერემონიას ქვეყნის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი დაესწრო.

– ძალიან მოხარულები ვართ, რომ მივაღწიეთ კრიტიკულად მნიშვნელოვან სტადიას შავ ზღვაში გაზის მოპოვებასთან დაკავშირებით. 2023 წლის პირველ კვარტალში ჩვენი ეროვნული გაზის ტრანსპორტირების სისტემაში 10 მილიონი კუბური მეტრის ოდენობის ბუნებრივი გაზი გაეშვება. იმედი გვაქვს, რომ საქარიას გაზის საბადო მოპოვების პიკს 2026 წელს მიაღწევს, – განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, გაზის საბადოს გახსნა შავ ზღვაში ისტორიული მოვლენაა, რომელიც მთლიანად შიდა რესურსებით ხორციელდება.

– ენერგეტიკას ჩვენ განვიხილავთ როგორც რეგიონალური თანამშრომლობის გასაღებს და არა როგორც არენას, დაძაბულობისა და წინააღმდეგობისთვის, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა შავ ზღვაში ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენის შესახებ განცხადება 2020 წლის 21 აგვისტოს გააკეთა.

2023 წლისთვის ხელისუფლება აირის მიწოდებას შიდა ბაზარზე გეგმავს. ერდოღანმა მაშინ აღნიშნა, რომ საქარიას საბადოზე 405 მილიარდი კუბური მეტრის ოდენობის ბუნებრივი აირის მარაგია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რეპერი ბანკომატის გაძარცვისთვის დააპატიმრეს

ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრი რეპერი, რომელმაც სიმღერა ბანკომატის გაძარცვას მიუძღვნა, ტენესის შტატში სწორედ ბანკომატის გაძარცვისთვის დააპატიმრეს.

ქალაქ ჰიუსტონის მცხოვრები 30 წლის ლადიშან რაილი სამ თანამზრახველთან ერთად დააკავა ნეშვილის პოლიციის დეპარტამენტმა ქალაქის მომსახურე ერთ-ერთი ბანკომატის გაძარცვისთვის. დაკავებულ ბანდიტურ დაჯგუფებაში რაილის გარდა შედიოდნენ დარიუს დუგასი, საშონდრე დუგასი და კრისტოფერ ალტონი.

გამოძიების მონაცემებით, ორი დამნაშავე ზურგის მხრიდან მიადგა ტექნიკოსს და უბრძანეს „სისულელე არ ჩაიდინო, ფული მოგვეცი“. ფულის მიღების შემდეგ ოთხი მძარცველი თავდასხმის ადგილიდან ორი ავტომობილით გაიქცა. ერთ-ერთი მათგანი იჯარით იყო გამოყვანილი ერთ-ერთი ადგილობრივი ავტომობილების გამქირავებელი კომპანიიდან. გამქირავებლისგან მიღებული მონაცემების წყალობით, შვეულმფრენის ეკიპაჟმა სწრაფად მოახერხა, ნეშილიდან 64 კილომეტრში მდებარე ქალაქ დიქსონის ერთ-ერთ სასტუმროსთან გაჩერებული ავტომობილის პოვნა.

პოლიციელები დაელოდნენ, სანამ დამნაშავეები გატაცებულ ფულს ერთი მანქანიდან მეორეში გადაიტანდნენ და გაიყოფდნენ. შემდეგ კი ყველანი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების დახმარებით დააპატიმრეს.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ რაილის საქმე, რომელიც213 Jugg god-ის ფსევდონიმითაა ცნობილი, ბანკომატის გაძარცვის დროს, გამოძიების ქვეშ იმყოფებოდა. ის ადრე დაპატიმრების დროს დაუმორჩილებლობის და ავტომობილით გაქცევის მცდელობისთვის იყო დაპატიმრებული, თუმცა გირაოს სანაცვლოდ იქნა განთავისუფლებული.

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

ზანთარაია რუსების სანაცვლოდ ტიტულს დათმობს

როგორც ცნობილი ხდება, ძიუდოს საერთაშორისი ფედერაციამ (იჯფ) მონღოლეთის დედაქალაქ ულან ბატორში გასამართ გრანდ სლემზე რუსი სპორტსმენები დაუშვა. თუმცა, მათ მხოლოდ იჯფ-ს დროშის ქვეშ ჭიდაობის უფლება ექნებათ.

რუსების ტურნირებზე დაშვებას იჯფ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოეხმაურა და განმარტა, რომ ძიუდო არის სპორტი მშვიდობის, ერთიანობისა და მეგობრობისთვის. წერილში ასევე საუბარია ძიუდოს სხვა ღირებულებებზე: პატივისცემა, გამბედაობა, ურთიერთდახმარება, თანასწორობა, მშვიდობისთვის ზრუნვა, განსაკუთრებით კი, საომარი კონფლიქტებისას.

წერილში ასევე საუბარია იმაზე, რომ მთავრობების გამო ცალკეული სპორტსმენები არ უნდა ისჯებოდნენ.

და მაინც, ძიუდოს სამყაროს დიდი ნაწილი ამ გადაწყვეტილებით არ აღფრთოვანებულა. მეტიც, უკრაინელთა ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ძიუდოისტმა, ქართული წარმოშობის მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონმა გიორგი ზანთარაიამ განაცხადა, რომ ეს არ არის მისაღები საქციელი და თუ რუსები ულან ბატორში იჭიდავებენ, მზად არის ყველა ტიტული დათმოს. მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონისაც კი...

გიორგი ზანთარაია:

– სირცხვილია, რომ ჩემი საყვარელი ფედერაცია, რომელიც მუდმივად ხაზს უსვამს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა მშვიდობა, მეგობრობა, ერთობა, ახლა პასიურად მხარს უჭერს უკრაინაში ომს. თუ რუსი სპორტსმენები ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ, ჩემს ყველა ტიტულზე უარს ოფიციალურად ვიტყვი. მათ შორის – მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე. მინდა, ტურნირზე დარეგისტრირებამდე ყველამ იცოდეთ: უკრაინაში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპება, ათასობით კი, ყოველდღიური დაბომბვისა და აფეთქების შიშის ქვეშ ცხოვრობს. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ უკრაინა არ მიიღებს მონაწილეობას ტურნირში, სადაც რუსეთის წარმომადგენლები იასპარეზებენ, თუნდაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის დროშით.

ქართულ გუნდებს მეტოქეები გაურკვიეს, ბათუმში კაშია და კანკავა ითამაშებენ

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ევროპული ტურნირების წილისყრა გაიმართა. გაირკვა ქართული გუნდების მეტოქეები როგორც ჩემპიონთა ლიგის, ასევე კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე.

საქართველოს ჩემპიონის, ბათუმის დინამოს მეტოქე ქართველების კარგად ნაცნობი ბრატისლავის სლოვანი იქნება. სლოვანს საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ვლადიმირ ვაისი წვრთნის, ხოლო გუნდის შემადგენლობაში გურამ კაშია და ჯაბა კანკავა ირიცხებიან.

პირველი მატჩი 5 ან 6 ივლისს ბრატისლავაში გაიმართება, გაიმართება, ხოლო საპასუხო ერთი კვირის თავზე – ბათუმში.

კონფერენს ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისური გუნდები პირველ მატჩებს შინ ითამაშებენ.

საბურთალო პირველ რაუნდში ალბანურ პარტიზანს შეხვდება. პირველი მატჩი 7 ივლისს არის ჩანიშნული, საპასუხო კი, 14 ივლისს, ტირანაში ჩატარდება.

ამავე თარიღებში ითამაშებს დინამოც, რომელსაც მეტოქედ ესტონური პაიდე ერგო. პირველად გუნდები დინამო არენაზე შეხვდებიან ერთმანეთს, საპასუხო მატჩი 14 ივლისს, ესტონეთში გაიმართება.

დილას მეტოქე კი, ფინური კუპსი იქნება. ანდრეი დემჩენკოს გუნდი პირველ მატჩს სტუმრად 7 ივლისს გამართავს, საპასუხოდ კი, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე 14 ივლისს დაუხვდება.

შედეგები

13 ივნისი

მჩ-2022. ფლეი იფო

ავსტრალია-პერუ ..... 0:0(5:4პ)

უეფას ეროვნული თასი

ა დივიზიონი

დანია-ავსტრია 2:0

საფრანგეთი-ხორვატია 0:1

ბ დივიზიონი

ისლანდია-ისრაელი 2:2

გ დივიზიონი

ყაზახეთი-სლოვაკეთი 2:1

აზერბაიჯანი-ბელარუსი 2:0

ჯონჯაჯფის ეროვნული ლიგა

მარტინიკა-პანამა 0:0

ჰონდურასი-კანადა 2:1

აფრიკის ეროვნული თასი

სან ტომე-ნიგერია 0:10

სიერა ლეონე-გვინეა ბისაუ 2:2

ლიბერია-მაროკო 0:2

ამხანაგური მატჩი

ალბანეთი-ესტონეთი 0:0

ეჩ-2023.

საკვალიფიკაციო ეტაპი (21)

ჩეხეთი-ანდორა 7:0

ალბანეთი-კოსოვო 1:1

ინგლისი-სლოვენია 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მასწავლებელმა მოსწავლის შეცდენისთვის თავი ციხეში ამოჰყო

აშშ-ში საშუალო სკოლის მასწავლებელმა მოსწავლე შეაცდინა და შედეგად თავი ციხეში ამოჰყო. ეს ყოველივე ვირჯინიის შტატში მოხდა.

32 წლის კრისტენ მაკალისტერი 9 ივნის დილით დააპატიმრეს. ქალს ბრალად წარედგინა მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვის მიმართ უღირსი ქმედების ჩადენა. იორკის შერიფის ოფისში განმარტეს, რომ ამ შემთხვევაში უღირს ქმედებაში სექსუალური ხასიათის ქმედება იგულისხმება.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას მედიას განუცხადეს, რომ მაკალისტერის მსხვერპლი მამრობით სქესის მოსწავლე გახდა. გამოძიებისთვის ჯერჯერობით უცნობია, ეს მხოლოდ ერთი შემთხვევაა, თუ სხვა მოსწავლეებიც არიან დაზარალებულები. პოლიცია არკვევს, კერძოდ, სად იქნა ჩადენილი დანაშაული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სანაკრებო პაუზის შემდეგ ეროვნული ლიგაც განახლდება

სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლდება ეროვნული ლიგა. მე-17 ტური ორ დღეზეა გაწერილი. სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე ტურში რამდენიმე საინტერესო მატჩია, მაგრამ გამოსარჩევი წყალტუბოში გასამართი მატჩი უნდა იყოს, სადაც სამგურალს თბილისის დინამო ესტუმრება.

15 ივნისი

თელავი-დილა

20:00. თელავი. კავკასიონი არენა

კახურმა გუნდმა ბოლო 3 ტურში მხოლოდ ქულა აიღო და სატურნირო ცხრილი გაიუარესა. ახლა თელაველები სახიფათო ზონას მხოლოდ 3 ქულით უსწრებენ.

შედეგად, თელავი უბრძოლველად არაფერს დათმობს, მაგრამ დილასთან 3 ქულის დაგეგმვა მარტივი საქმე არ არის. თავის მხრივ, გორელებს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ამოუჭრიათ გულში და მათთვისაც ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

16 ივნისი

გაგჩა-დინამო ბთ

18:00. თბილისი. დინამო არენა

საქართველოს ჩემპიონი და მიმდინარე სეზონის ლიდერი ბათუმის დინამო გაგრას თბილისში ესტუმრება. ზღვისპირელთა ამბიციები ისედაც ყველასთვის ნაცნობია და ახლაც 3 ქულისთვის ითამაშებენ.

გაგრას საქმეები კი ცოტა არეულია. გუნდმა თავიდან კარგად დაიწყო, ბოლოსკენ აურია და 4 ტურია ქულაც არ აუღია. ამბობენ იმასაც, რომ გაგრაში კარგად არც ფინანსური მდგომარეობაა და გუნდს ამ მხრივაც პრობლემები აქვს.

ლოკომოტივი-საბურთალო

18:00. საგურამო. ლოკო

ლოკომოტივზე ბევრი სათქმელი არაფერია. გუნდს 16-დან 16 წაგება აქვს. განახლებულ ეროვნულ ლიგას კი, კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელის დანაკლისით ხვდება – დავით სამურკასოვი კარიერას საბერძნეთში გააგრძელებს.

თუმცა, არც საბურთალოს ულხინს: გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა და ახლა ლაშა ნოზაძე წვრთნის; წავიდა რამდენიმე ფეხბურთელი; მათ გზას ადგას კიდევ რამდენიმე; საუბარი აქაც ფინანსურ პრობლემებზეა...

მოკლედ, თბილისური დერბი პრობლემებით გაიმართება.

სამგურალი-დინამო თბ

18:00. წყალტუბო. 26 მაისი

მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენა სამგურალი შინ ქართული ფეხბურთის ფლაგმანს დაუხვდება. წყალტუბოელები მე-3 ადგილზე არიან და მეტოქეს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ გუნდების ბოლო 5 მატჩში დინამოს არ მოუგია, იოლი გასეირნება არც ამჯერად ელის.

ტორპედო-სიონი

21:00. ზესტაფონი. დავით აბაშიძე

ბოლო პერიოდში ორივე გუნდი მოფერიანდა და სახიფათო ზონიდან თავის დაღწევას ნელ-ნელა შეუდგნენ.

ტორპედო მხოლოდ ქულით უსწრებს ბოლნისურ გუნდს და წარუმატებლობის შემთხვევაში, ადგილსაც გაუცვლის. ცხადია, სიონიც ამ მიზნით ჩადის იმერეთში, მით უფრო, რომ ტორპედო საშინაო მატჩს ზესტაფონში გამართავს, რადგან მშობლიურ რამაზ შენგელიას რეკონსტრუქცია უტარდება.

საუჩინოო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	16	10	5	1	41-13	35
2.დინამო (თბ)	16	9	5	2	27-13	32
3.სამგურალი	16	8	6	2	26-13	30
4.დილა	16	9	2	5	21-13	29
5.საბურთალო	16	6	5	5	19-16	23
6.თელავი	16	5	5	6	19-16	20
7.ტორპედო	16	5	3	8	13-24	18
8.გაგრა	16	5	2	9	18-26	17
9.სიონი	16	4	5	7	17-29	17
10.ლოკომოტივი	16	0	0	16	12-50	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მაღლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ნანა წულაია: მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

ვახო წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

რეზო ნარმანია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

თამრიკო მხეიძე: 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ფრანგული მედია საქართველოსა და ვილი სანიოლზე წერს

საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ვილი სანიოლი მშობლიური ქვეყნის მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. ფრანგული პრესა საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელ პროგრესზე წერს და წარმატებული თამაშის მთავარ შემოქმედებს ასახელებს.

– ივნისში ერთა ლიგის 4-მა მატჩმა ფრანგებს უსიამოვნო შეგრძნება დაუტოვა, რაც ნაკრების იმედგამაცრუებელი შედეგებითაა განპირობებული. საპირისპიროდ, ზოგიერთი ქვეყნისთვის ყველაფერი სხვანაირადაა. ამ მხრივ საქართველო გამორჩეული შემთხვევაა – 4-დან 3 მოგება და 1 ფრე აქვთ და ჯგუფის ლიდერები არიან.

აღმოსავლეთ ევროპულ ნაკრებს, რომელსაც დიდ ტურნირზე არასდროს უასპარეზია, ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სერია აქვს და ზედიზედ 9 მატჩია არ წაუგია. მსგავსი პერიოდი საქართველოს მხოლოდ ერთხელ, 2010 წლის მარტიდან 2011 წლის მარტამდე ჰქონდა, როდესაც ზედიზედ 10 მატჩი არ დამარცხებულა.

საქართველოს ნაკრების წარმატებული სერიისა და ღამაზი პერიოდის ერთ-ერთი შემოქმედი კი, ვილი სანიოლი გახლავთ. საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა მთავარი მწვრთნელის პოსტი 2021 წლის თებერვალში ჩაიბარა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ყველაფერი ცუდად დაიწყო და სანიოლის გუნდმა 9-დან 7 შეხვედრა წააგო, „ჯვაროსნებმა“ შემდეგ ძალიან მოუმატეს. ქართველებმა დაამარცხეს შვედეთი, რომელიც მაშინ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე 1 ადგილზე იყო. შემდეგ კი, ვირტუოზული სვლა განაგრძეს. ახალი საქართველოს სიმბოლო ბულგარეთთან გამართული მატჩებია. გასულ სექტემბერში, საქართველომ ბულგარეთთან 1:4 წააგო, 5 ივნისს კი რევანში აიღო და მეტოქე სტუმრად 5:2 გაანადგურა.

საქართველოს ნაკრებში ცოტა ფეხბურთელია ისეთი, რომელიც ევროპის ტოპ 5 ჩემპიონატში თამაშობს. გიორგი მამარდაშვილი ერთ-ერთი მათგანია. იგი ვალენსიას ღირსებას იცავს და ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვეტერანი გიორგი ლორია თამაშობს. ამ სანაკრებო ფანჯრის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ბათუმის დინამოს შემტევი ხვიჩა კვარაცხელია იყო – 3 გოლი, 2 პასი.

საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 85-ე ადგილზე იმყოფება და 2012 წლის შემდეგ, ამაზე უკეთესი პოზიცია არ დაუკავებია. თუმცა, თუ სექტემბერში, ჩრდილოეთ მაკედონიასთან და გიბრალტართან სასურველი შედეგები დაფიქსირა, ერთა ლიგის ბ ჯგუფში აღზევდება. ეს ამ ნაკრების პროგრესის ამსახველი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 23 სექტემბერს, საქართველოს ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიას შინ დაუპირისპირდება, ხოლო 26-ში სტუმრად გიბრალტარს ეთამაშება.

ბასილაშვილმა რუბლიოვი დამარცხა

გერმანიის ქალაქ ჰალეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ფავორიტად მიჩნეული რუსი ანდრე რუბლიოვი 7:6; 6:4 დაამარცხა. ტურნირის საპრიზო ფონდი 2 275 275 ევროა და რუსი მესამე ნომრად იყო განთესილი.

თამაში საათსა და 26 წუთს გაგრძელდა. პირველ სეტში ბასილაშვილი 0:2 ჩამორჩა, რასაც ზედიზედ 5 გეიმი მიაყოლა და უკვე თავად იყო წინ, მაგრამ რუბლიოვმა სეტი დროებით გადაარჩინა და გამარჯვებულის ვინაობა ტაი ბრეიკზე გაირკვა, სადაც ნიკამ პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე – 7:1.

მეორე სეტში ბასილაშვილმა მეტოქე მეხუთე გეიმში დააბრეიკა, რაც ერთადერთი აღმოჩნდა და ჩვენებურმა ჯამში იმარჯვა.

მერვედფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე გერმანელ ოსკარ ოტესა და სერბ მიომირ კეჩმანოვიჩის შორის გაირკვევა.

ნინიაშვილი და გიგაშვილი ბარბაროსებში ითამაშებენ



ქართველი მორაგბეები, დავით ნინიაშვილი და ბექა გიგაშვილი ბრიტანელი ბარბაროსების შემადგენლობაში ითამაშებენ. ნინიაშვილი ძირითადში იქნება, ხოლო გიგაშვილი საქმეში მარქაფადან ჩაერთვება.

ბარბაროსები, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება და საჩვენებელ მატჩებს მართავს, 19 ივნისს ინგლისის ნაკრებს ეთამაშება. მატჩი „თვიქნემზე“ გაიმართება და ამ გუნდების მე-19 ჯახი იქნება. აქამდე ინგლისს 10 მატჩი აქვს მოგებული, ხოლო ბარბაროსებმა გამარჯვება 8-ჯერ მოახერხეს.

ნინიაშვილისა და გიგაშვილის გამოძახებით ქართველთა სია ბარბაროსებში 11 გახდა. აქამდე ბარბაროსებში დავით ქუბრიაშვილს, გოდერძი შველიძეს, დავით კაჭარავას, მამუკა გორგოძეს, კოტე მიქაუტაძეს, გიორგი ხარაიშვილს, დავით ზირაქაშვილს, მიხეილ ნარიაშვილსა და ანტონ ფეიქრიშვილს უთამაშიათ.

გარდა ამისა, აქამდე ბარბაროსებში ერთდროულად 2 ქართველს მხოლოდ ერთხელ უთამაშიათ – მამუკა გორგოძე და დავით ქუბრიაშვილი „თვიქნემზე“ ინგლისის წინააღმდეგ მატჩში გაისარჯნენ. მაშინ გორგოძემ ლელოს დადებაც მოახერხა, რომელიც ბარბაროსებში, ჯერჯერობით, ერთადერთი ქართული ლელოა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა, ლურჯი ფერის იაგუნდი; 3. საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ღვინის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მონაკოელი ავტომრბოლელი; 16. აცკეტების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 19. უბანი თბილისში; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 14. ბიბლიის ათი მცნება; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული კომპანია; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. კომპანია „ამაზონის“ მფლობელი; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ფრანგული საიუველირო ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰიტი; 2. დუბაი; 3. იმოლა; 4. ჰიმნი; 5. ლენოვო; 6. კაბოშონი; 8. ნოქალაქევი; 10. ლატიფუნდია; 11. დიპლომატი; 14. შეკელი; 16. კიიაკი; 16. ოდესა.

თარაზულად: 1. ჰაიდუკი; 4. ჰელსინკი; 7. ტუმბო; 9. წაბლი; 12. ტოლედო; 13. თქეში; 14. შამოტი; 17. აქლემი; 18. ინდულიგენცია; 19. დიონისე; 20. ქაშერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ურუშაძე; 2. გობელენი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კაზუისტიკა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. კოსმოსი; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილიხანა; 19. ანტიგონე; 21. ოდესა; 23. შახტი.

თარაზულად: 6. ტრიფოლიატი; 7. როტონდა; 8. შანელი; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. ლონჟა; 20. ლიკეუმი; 22. კაშხალი; 24. იდიოტი; 25. რეფლექსი; 26. კიტონი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9631	ევრო — 3.0923
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5883	100 რუსული რუბლი — 5.1637

ამინდის პროგნოზი 15 ივნისისათვის

პიერ ემერიკ ობამეიანგი: „მომავალ სეზონს მოუთმენლად ველი“

ბარსელონას გაბონელმა ფორვარდმა პიერ ემერიკ ობამეიანგმა თავისი გუნდის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მოუთმენლად ელის სეზონის დაწყებას.

მისი თქმით, ბარსელონას აქვს იმის პოტენციალი, რომ ტურნირებში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლოს:

– მინდა, ყველა გულშემატკივარს ვუთხრა, რომ გუნდისთვის ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და მომავალ სეზონში ამას აუცილებლად დავამტკიცებ. თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ.

ტონი კროოსი რეალიდან წასვლას არ აპირებს

მადრიდის რეალის გერმანელი ნახევარმცველი ტონი კროოსი გუნდის დატოვებას არ აპირებს და დიდი ალბათობით ის კარიერას სწორედ რეალში დაასრულებს.

კროოსის თქმით, რეალი მისთვის ძალიან ძვირფასია და მუდამ მის გულში იქნება:

– რეალში იმდენი სიხარული გამოვცადე, რომ აქედან წასვლაზე ფიქრიც კი არ მინდა. შემიძლია რამდენიმე წელიწადი უმაღლეს დონეზე ვითამაშო, შემდეგ კი კარიერის დასრულებაზე ვიფიქრებ.

ვან დეიკი: „ლივერპულს კარგი სეზონი ჰქონდა“

ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა თავისი გუნდის სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ კარგი სეზონი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი წააგეს:

– ლივერპულმა კარგი სეზონი ჩაატარა და უბრალოდ არ გაგვიმართლა, რომ ტიტულების მოგება ვერ შევძელით. შეგვიძლია დასკვნები გამოვიტანოთ და შეცდომები არ გავიმეოროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანი ღონღაძე ტელეწამყვანი გახდა

მომღერალი ანი ღონღაძე ტელეწამყვანი გახდა. მან ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ დილის გადაცემაში „დილის პალიტრა“ დაიწყო მუშაობა.

ინფორმაცია ანიმ გულშემატკივრებს თავად გაუზიარა:

– ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს „დილის პალიტრის“ ეთერიდან მოგესალმებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ივნისისათვის

ვერძი – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. ** კურო** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. სიახლეების ნუ შეგეშინდებათ. **ტყუპები** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ლომი** – ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ნუ აჰყვებით ჭორებს და ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ქალწული** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანცალი** – დაისვენეთ, ივარჯიშეთ. აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. ბუნების წიაღში გასვლა ნერვებს დაგიწყნარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **მერწყული** – ფინანსური საკითხები წარმატებით გადაწყდება. დაიცავით ზომიერება ნებისმიერი მოქმედებისას. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

რაიონში მამაკაცი გარდაიცვალა. ოჯახი იმაზე მსჯელობს, ჩააყოლოს თუ არა მიცვალებულს ყაბალახი. ერთი ამბობს:

– რათ უნდა ამ ზაფხულში ყაბალახი?

– რა, ზამთარში შენ წუუღებ თუ?

●●●

ხალხით გადაჭედილ ავტობუსში მოხუცი ქალი იძახის:

– ფრთხილად იყავით, კვერცხებს გაუფრთხილდით, კვერცხებს!!!

– ბებო, ამ ხალხით სავსე ავტობუსში კვერცხები რამ ამოგატანინა? – ეკითხება ერთ-ერთი მგზავრი.

– კვერცხები კი არა, ლურსმნები მიმაქვს!!!

●●●

თვალის ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– ქვედა ხაზი წაიკითხეთ...

– არ შემიძლია!

– ჰოო, ახლომხედველობა გქონიათ...

– ჰოო, მთელი ცხოვრება წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავი, ახლა კი თურმე ახლომხედველიც ვყოფილვარ.

●●●

პატარა გოგონას საბავშვო ბაღში წასაყვანად ამზადებენ. ამ დროს მამა ეუბნება:

– ამხელა გოგოს, დედა რომ გაცმევს, რა, პატარა ხარ?

– ვის ეუბნები, ყოველ ღამე დედასთან რომ გძინავს, პატარა ხარ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუბა კიკაბიძე დაბადების დღეს საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნავს

მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე 84-ე დაბადების დღეს საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნავს.

19 ივლისს ბათუმის ხელოვნების ცენტრში ვახტანგ კიკაბიძის დაბადების დღეზე კონცერტი გაიმართება.

ღონისძიებაში მონაწილეობას მისი მეგობრები მიიღებენ.

კონცერტი საქველმოქმედოა და შემოსული თანხა უკრაინის ომში დაზარალებულებს მოხმარდება.

ნინო ქათამაძემ კიევის მეტროში იმღერა

მომღერალი ნინო ქათამაძე უკრაინაში ჩავიდა და კიევის მეტროში მონატრებული მსმენელისთვის იმღერა.

ნინოსთან ერთად უკრაინაში ჩავიდა მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი. მათ უკრაინელებისადმი ქართველების სოლიდარობის გამოსახატად იმღერეს და დაუკრეს.

დამსწრე საზოგადოებამ ნინო ქათამაძე და ნიკოლოზ რაჭველი მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს.

ირმა გიგანმა ვენის უნივერსიტეტში უმაღლესი ქულა დაიმსახურა

პიანისტმა ირმა გიგანმა ვენის უნივერსიტეტში სამაგისტრო გამოცდა ჩააბარა და უმაღლესი ქულაც დაიმსახურა:

– ბოლო სამაგისტრო გამოცდა მქონდა ვენის უნივერსიტეტში, რომელმაც დიდი სიხარული, ენერგია და ერთხმიანი, მაქსიმალური ქულა მომანიჭა საოცარი მუსიკოსებისაგან/ჟურისაგან.

პირველ რიგში, უდიდესი მადლობა ჩემს გენიალურ პროფესორს, საოცარ მუსიკოსს და ადამიანს, შტეფან არნოლდს ყოველი გაკვეთილისთვის. გამიმართლა, რომ ამ მუსიკოსთან მომიხდა ჩემთვის ყველაზე ძვირფასის გაზიარება და სწავლა – მუსიკის.

დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებიც მოვიდნენ მხარდასაჭერად და იმ ადამიანებს, რომლებიც არასოდეს მინახავს დღემდე, მაგრამ დაუვიწყარი ენერგია, ღიმილი და სიკეთე მივიღე მათგან.

თეიმურაზ პატარიძე: „შევწყვიტეთ თანამშრომლობა „მთავარ არხთან“

იუმორისტმა თეიმურაზ პატარიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „მთავარ არხთან“ თანამშრომლობა შეწყვეტილია:

– შევწყვიტეთ თანამშრომლობა „მთავარ არხთან“.

ისეთი არაფერი მომხდარა, რამე ჩაჭრელი კითხვები დამისვათ და მეც ავდგე – გიპასუხოთ.

მადლობა! რაც იყო, ყველაფერი თუ არა, რაღაცები მაინც კარგი იყო.

მადლობა, პირველ რიგში, მაყურებელს და მერე მთლიან გუნდს...

დროებით მეგობრებო! არ გემშვიდობებით!

თეიმურაზ პატარიძის განცხადებას იუმორისტი ნიკა ქავთარაძე გამოეხმაურა:

– 20+ წელი რომ აკეთებ საქმეს.

ამ წლების განმავლობაში სულ უმაღლეს რეიტინგს წერ.

ამ წლების განმავლობაში, შენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის საყვარელი ვარსკვლავი ხარ.

და უცებ ქვეყანაში იცვლება ხელისუფლება, რომელიც 10 წლის განმავლობაში უწყვეტად გებრძვის, გართმევს ტრიბუნას, გისპობს შემოსავლებს, ტროლბოტების არმიით ცდილობს დისკრედიტაციას. გაიქცევი – მოგდევს, უნდა ბოლომდე მოგსპოს.

შენც სადღაც გითავდება რესურსი და აგებ...

გავიგე, რომ „მთავარის“ იუმორისტული პროექტები იხურება და ეს უნიჭიერესი ხალხიც უსამსახუროდ რჩება.

შეიძლება ინდივიდუალურად ყველა სადღაც წავიდეს, მაგრამ გუნდი ხომ აუცილებლად დაიშლება.

საშინლად უსამართლო ქვეყანა შემოგვაშენეს ბიძინებმა.

ყურები არ ჩამოყაროთ, გული არ გაიტეხოთ, ერთმანეთზე უარი არ თქვათ, იპოვეთ საკუთარ თავებში ძალა, რომ საყვარელი საქმე აკეთოთ.

ზუსტად ვიცი, რომ ახლა ძალიან ნერვიულობთ – ოჯახები, ვალდებულებები, უამრავი მოსაგვარებელი პრობლემა გაყრიათ თავზე.

მაგრამ თქვენ შეგიძლიათ კიდევ ერთხელ დაიწყოთ ნულიდან და სულ მალე სასწაულები შეძლოთ!

რა სიგიჟეა, რომ თქვენი პროფესიის ადამიანებს მტრები გყავთ, ამიტომ ყველაფერი გააკეთეთ ამ მტრების იმედების გასაცრუებლად!

შექმენით საკუთარი ტელევიზია, რადიო, იუთუბ-არხი, გაზეთი, ჟურნალი და აკეთეთ თქვენი საყვარელი საქმე. ასიათასობით ადამიანს უყვარხართ და წლებია ელოდებიან თქვენს გამოჩენას ეკრანზე, თქვენს ხუმრობებს, სიმღერებს, სკეტჩებს, გადაცემებს.

მეც გადამიტანია იგივე, არა ერთხელ, მაგრამ თქვენ მარტო არ ხართ, თქვენ ხართ დიდი გუნდი, რომელმაც უამრავ რამეს გაუძელით.

ადრე თუ გვიან ეს ქვეყანა გახდება თავისუფალი, დემოკრატიული, ნიჭიერი და პროფესიონალი ადამიანების დამფასებელი!

ხოდა, აბა თქვენ იცით, არც ერთი ნაბიჯი უკან! წინ და მხოლოდ წინ!

თქვენი მეგობარი და თანამოაზრე, გულშემატკივარი და მხარდამჭერი – ნიკა ქავთარაძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ვენეციის და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული; 2. ფინელი იუმორისტი მწერალი; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. გრამატიკაში ზმნის წარსული დრო; 5. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 11. უმაღლესი სასულიერო პირი კათოლიკურ ეკლესიაში; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი.

თარაზულად: 1. ირლანდიის დედაქალაქი; 4. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 7. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელი სპეციალისტთა ჯგუფი; 9. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 12. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე მამაკაცი; 13. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 14. მოკლე, საცირკო-საესტრადო პიესა; 17. ფულის ერთეული ავღანეთში; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს; 19. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 20. უღელტეხილი საქართველოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა